საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

1624-01-2-202004281132

N 01/1624
28/04/2020

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს
სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის უფროსს
ბატონ ზაალ ივანიძეს

ბატონო ზაალ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 3 აპრილის №16/20639 წერილი (შემოსული დოკუმენტი: 2629/01; თარიღი: 03.04.2020), რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე 22 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №61.11.21.996) პრივატიზების საკითხს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №61.11.21.754) გაერთიანების შემთხვევაში.

ამასთან, გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდები: №61.11.21.996 და №61.11.21.754) ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 აპრილის №14 დადგენილების „დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად ხვდება საცხოვრებელ ზონა 2 (სზ-2)-ში, რომლის სამშენებლოდ განვითარების პირობები შეგიძლიათ იხილოთ დანართის სახით.

დანართი: 3 გვერდი.

პატივისცემით,

ნინო გვენცაძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722